ხელშეკრულება №96
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 14 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"(ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი ტუღუშის სახით და მეორეს მხრივ შპს„გარანტი მდ" (ს/კ417879424) (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის მამუკა ტლაშაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოების (CPV44512000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტია: ელ დრელი ერთი ცალი ფასი 80 (ოთხმოცი) ლარი და კუთხსახეხი ერთი ცალი ფასი 80(ოთხმოცი)ლარი

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 160(ასსამოცი) ლარს. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანინმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 22 ივლისის ჩათვლით.

4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.გორი ცხინვალის გზატკ.6 ა .

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციიც წარმოდგენიდან 10 საბანკო დღეში.

6.3. ანაზღაურების ადგილია ქ.გორი გურამიშვილის ქ.5

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით..

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდული საქონელის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან დაშემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze“ –ს ინფრასტრუქტურის მენეჯერი თენგიზ ბურჯანაძე.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GoriCITI HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz – Burjanadze”	შპს „გარანტი მდ“
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მისამართი ქ.გორი ცხინვალის გზატ. №6ა.
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა	საბან.რეკვიზიტები სს„საქართველოსბანკი“
ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973	BAGAGE22
	ანგ №GE32BG0000000326083000
	ს.კ 417879424
დირექტორი	დირექტორი
---	---
გიორგი ტუღუში	მამუკა ტლაშაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. გორი 14 ივლისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებ, რომ სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება, ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შპს„გარანტი მდ“ -სთან ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze”-ს დირექტორი — გიორგი ტუღუში

ინფრასტრუქტურის მენეჯერი — თენგიზ ბურჯანაძე

შესიდვების კოორდინატორი — სვეტლანა ზაუტაშვილი